

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა

მინისტრის ერთობლივი ბრძანება №

2006 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

### ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №182 დადგენილებით განსაზღვრული ვაუჩერის გაცემისა და გადატანის უზრუნველყოფის მიზნით, **ვბრძანებთ:**

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის თანდართული წესი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ლომაია

ა. ალექსიშვილი

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 19-20 მარტის ერთობლივი ბრძანება №232/258 - სსმ III, №47, 28.03.2008წ., მუხ.534

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 ივნისის ერთობლივი ბრძანება №534/510 - სსმ III, №89, 24.06.2008წ., მუხ.967

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №850/777 - სსმ III, №149, 10.10.2008წ., მუხ.1487

*დანართი*

### ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესი

#### მუხლი 1. ვაუჩერის გაცემის საფუძველი

1. ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი (შემდგომში – ვაუჩერი) გაიცემა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვის სრული ზოგადი განათლების დასაფინანსებლად. სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობის შესაბამისად არა უმეტეს 12 წლის განმავლობაში.

2. ვაუჩერის გაცემა ხორციელდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის გზით, სადაც სწავლობს მოსწავლე.

## **მუხლი 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემის წესი**

1. ვაუჩერის გაცემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის წარმოებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერის ოდენობების შესაბამისად.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ვაუჩერით სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს შესაბამისი აკრედიტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს ახალ დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ვაუჩერი არ გაცემა მოსწავლის მიერ სწავლის შეჩერების შემთხვევაში ამ დებულებით გათვალისწინებული წესისა და ვადების დაცვით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული მოსწავლისგან მიიღოს ფინანსური სახსრები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დროის იმ პერიოდის დაფინანსება, რომელშიც ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, მიმღებ დაწესებულებას არ ერიცხება სახსრები ვაუჩერის სახით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 19-20 მარტის ერთობლივი ბრძანება №232/258 - სსმ III, №47, 28.03.2008წ., მუხ.534*

## **მუხლი 3. ვაუჩერის მისაღებად წარსადგენი ინფორმაცია**

1. (ამოღებულია).

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ვაუჩერს გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვაუჩერის მისაღებად სამინისტროს ტერიტორიულ ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრს (შემდგომში – რესურსცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით წარუდგენს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რიცხული მოსწავლეების შესახებ წლის განმავლობაში ორჯერ, შემდეგი ვადების დაცვით:

ა) არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა – 1 ოქტომბრის მდგომარეობით;

ბ) არა უგვიანეს 5 აპრილისა – 1 აპრილის მდგომარეობით.

4. რესურსცენტრი სამინისტროს წარუდგენს ინფორმაციას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა რაოდენობის თაობაზე სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, შემდეგი ვადების დაცვით:

ა) ყოველი წლის 10 ოქტომბრამდე – 1 ოქტომბრის მდგომარეობით;

ბ) ყოველი წლის 10 აპრილამდე – 1 აპრილის მდგომარეობით.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რიცხული მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რესურსცენტრში წარსადგენი ინფორმაცია:

ა.ა) დაწესებულების სახელწოდება, მისამართი, სკოლის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ) ცნობა ბანკიდან, სადაც მითითებული იქნება: მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის მისამართი, ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი, სკოლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ა.გ) დაწესებულებაში რიცხული მოსწავლეების საერთო რაოდენობა;

ა.დ) დაწესებულებაში რიცხული მოსწავლეების სახელობითი ნუსხა;

ა.ე) დაწესებულებაში რიცხული იმ მოსწავლეების საერთო რაოდენობა და სახელობითი ნუსხა, რომლებსაც შეჩერებული აქვთ განათლების მიღება, შეჩერების ხანგრძლივობის და კლასის მითითებით;

ა.ვ) იმ მოსწავლეთა რაოდენობები და სახელობითი ნუსხები, რომლებიც გადმოვიდნენ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და გადავიდნენ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან, აგრეთვე სხვა მიზეზით გაირიცხნენ/ამოირიცხნენ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

ა.ზ.) ამ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში შესაბამის რესურსცენტრს აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს 5 დღის ვადაში.

ბ) რესურსცენტრის მიერ სამინისტროში წარსადგენი ინფორმაცია:

ბ.ა) რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორია;

ბ.ბ) რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ თითოეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რიცხულ მოსწავლეთა რაოდენობები. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობებში არ აისახება ის მოსწავლეები, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სწავლა ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ.გ) რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული თითოეული სკოლის საიდენტიფიკაციო ნომერი, მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის მისამართი, ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი, სკოლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ბ.დ) ამ პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეტყობინებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადისა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 ივნისის ერთობლივი ბრძანება №534/510 - სსმ III, №89, 24.06.2008წ., მუხ.967*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №850/777 - სსმ III, №149, 10.10.2008წ., მუხ.1487*

### **მუხლი 3<sup>1</sup>. კერძო სამართლის იურიდიული პირის – ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ვაუჩერის გაცემის წესი**

1. ახალდაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი სამინისტროსგან საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ ვაუჩერით დაფინანსების მიღების მიზნით რესურსცენტრს წარუდგენს ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

2. რესურსცენტრი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

3. სამინისტრო ახალდაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ვაუჩერის გადარიცხვას განხორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 ივნისის ერთობლივი ბრძანება №534/510 - სსმ III, №89, 24.06.2008წ., მუხ.967*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №850/777 - სსმ III, №149, 10.10.2008წ., მუხ.1487*

### **მუხლი 3<sup>2</sup>. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ვაუჩერის გაცემის წესი**

1. ახალდაფუძნებული საჯარო სკოლა ვალდებულია დაფუძნებიდან 5 დღის ვადაში წარუდგინოს რესურსცენტრს ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

2. რესურსცენტრი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

3. სამინისტრო საჯარო სკოლისათვის ვაუჩერის გადარიცხვას განახორციელებს სკოლის დაფუძნების თვის ჩათვლით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 ივნისის ერთობლივი ბრძანება №534/510 - სსმ III, №89, 24.06.2008წ., მუხ.967*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №850/777 - სსმ III, №149, 10.10.2008წ., მუხ.1487*

#### **მუხლი 4. ვაუჩერის გაცემა მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის, სწავლის შეჩერების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვის შემთხვევაში**

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის გადასვლის დროს ვაუჩერი მიმღებ სკოლას გადაეცემა:

ა) 1 ოქტომბრიდან, თუ მოსწავლე 1-ლი აპრილის შემდგომ გადავიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) 1 აპრილიდან, თუ მოსწავლე 1-ლი ოქტომბრის შემდგომ გადავიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, საიდანაც გაირიცხა/ამოირიცხა მოსწავლე, უნარჩუნდება ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა:

ა) 1-ლ აპრილამდე, თუ მოსწავლე გაირიცხა/ამოირიცხა 1 ოქტომბრის შემდგომ;

ბ) 1-ლ ოქტომბრამდე, თუ მოსწავლე გაირიცხა/ამოირიცხა 1 აპრილის შემდგომ.

3. მოსწავლის მიერ სწავლის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება:

ა) 1-ლ ოქტომბრამდე, თუ მოსწავლეს სწავლება შეუჩერდა 1 აპრილის შემდგომ;

ბ) 1-ლ აპრილამდე, თუ მოსწავლეს სწავლება შეუჩერდა 1 ოქტომბრის შემდგომ.

#### **მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ მოსწავლეთა არსებობის შემთხვევაში, რომლებიც 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დროს განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგების გამო ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც სწავლობდნენ საომარი მოქმედებების განხორციელებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, ამავე თვის 5 რიცხვამდე რესურსცენტრს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, მისამართი, სკოლის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ცნობა ბანკიდან, სადაც მითითებული იქნება: მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის მისამართი, ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი, სკოლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

გ) ამ პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის მოსწავლეთა სახელობითი ნუსხა, სადაც მითითებული უნდა იყოს მოსწავლის სახელი, გვარი, ინფორმაცია მოსწავლის კლასის, რეგისტრაციის ადგილისა და დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

დ) დევნილობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;

ე) მოსწავლის დაბადების მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

2. რესურსცენტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას სამინისტროს წარუდგენს ყოველი თვის 10 რიცხვამდე.

3. იმ მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება, რომლებიც 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დროს განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგების გამო ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც სწავლობდნენ საომარი მოქმედებების განხორციელებამდე, მოხდება მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამისად, ამ დაწესებულებებისათვის ვაუჩერის შესაბამისი თანხის ყოველთვიურად გადარიცხვის გზით.

4. 2008-2009 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს რესურსცენტრში ინფორმაციის წარდგენისათვის ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადა განესაზღვროთ 9 ოქტომბრით.

5. 2008 წლის ოქტომბრის თვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა რესურსცენტრებს წარუდგინონ არა უგვიანეს 2008 წლის 9 ოქტომბრისა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №850/777 - სსმ III, №149, 10.10.2008წ., მუხ.1487*